თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3570895

ნომერი: AR1542209

თარიღი : 20.09.2017

გაცემის თარიღი : 27.09.2017

გაცნობის თარიღი : 27.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვიტალი გულორდავა პ/ნ 62007001693
- გაგრა ს. ალახაძე ციტრუსების მეურნ. N 25 ბ. 53

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე დემონტაჟი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად სამშენებლოდ შეზღუდულ მიწის ნაკვეთებს წარმოადგენს:

ა) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ);
ბ) სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ);
გ) სარეკრეაციო ზონა (რზ);
დ) სპეციალური ზონა (სპეცზ);
ე) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1);
ვ) სანიტარიული ზონა (სანზ);
ზ) სამხედრო დანიშნულების ზონა 2 (სდზ).

ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს და წარმოადგენს შეზღუდულ მიწის ნაკვეთს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წ. 28 აპრილის #8-35 დადგენილების „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, 37-ე მუხლის , მე-3 პარაგრაფის თანახმად: სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთის (გარდა ლსზ-სა და რზ1-სა) შემოღობვა შესაძლებელაი არაუმეტეს 1.8 მეტრი სიმაღლის არაყრუ ღობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აიტვირთოს განახლებული ფოტომონტაჟი, ყველა გაბარიტული ზომის მითითებით. შესაბამისად შეცვალეთ მოთხოვნის ტექტიც

ამასთან მოგახსენებთ :

1. ვინაიდან მიწის ნაკვეთი წარმოადგენს თანასაკუთრებას, წარმოსადგენია მეორე მესაკუთრის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა ან დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
2. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად გარკვეული ფართები გადაცემულია სარგებლობაში. იმ შემთხვევაში თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება სარგებლობით გაცემულ ფართს, წარმოსადგენია მოსარგებლის თანხმობა, ხოლო თუ არ ეხება განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.